ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

(მომსახურეობის შესყიდვა)

ქ. ზესტაფონი 8 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, დირექტორის თამარ არაბიძის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი აღმაშენებლის ქ №25 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „ახალი ქსელები", ზესტაფონის განყოფილების უფროსის კონსტანტინე ამაშუკელის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

## 1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლასიფიკატორის კოდით 64200000 და 72400000–მონეტარული ზღვრების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის განკარგულება №1805 2012 წლის 26 სექტემბერი)

## 2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1 მუზეუმების გაერთიანების სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტმომსახურეობა დანართების შესაბამისად.

## 3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 60(სამოცი) ლარი.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურეობის ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულებზ ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 4. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
ქტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
მხრიდან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის
დეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

ელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშ-ფაქტურა გაწეული მომსახურეობის შესახებ
რად.

ახურების მიწოდების ადგილია ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.#25.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 8.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

### 9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების დარღვევის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველი ასეთი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

### *11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

**...რულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ...წლის 15მარტის ჩათვლით.**

### *12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა და შეწყვეტის პირობები*

... წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ...ების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ...ველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული ...ვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ...ით.

12.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4 **ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.**

### *13. ფორს-მაჟორი*

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

15.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

15.2 ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორის** 2016 წლის 4 იანვრის №1 **ბრძანებით შექმნილი კომისია.**

### *16. სხვა პირობები*

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

...არეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე ... თანხმობის გარეშე.

... პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

...ლშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს ...იდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ...რულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

...6.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ...რილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| შემსყიდველი: | მომწოდებელი: |
|---|---|
| ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი | შპს „ახალი ქსელები“ ზესტაფონის განყოფილების უფროსი |
| თამარ არაბიძე | კონსტანტინე ამაშუკელი |
| | სს„თი-ბი-სი ბანკი“ მარჯანიშვილის ფილიალი |
| ელ.ფოსტა: zestafonis muzeumi@mail.ru | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| | ა/ნ №GE74TB7741136070100001 |
| | ს/კ: 211326732 |
| ს/კოდი: 230092066 | |
| ტელ : 0492240206 | მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის №1 |
| მის: ქ. ზესტაფონი აღმაშენებლის ქ. №25 | |

დანართი 1.

**„... ქსელების“ მომსახურების ტარიფები (შეიცავს დღგ-ს):**

**...ურების მიღების თარიღის განსაზღვრა** – *15 დღე*

*...რდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები თანხმდებიან სხვა ვადაზე).*

**1. ძირითადი მომსახურების ტარიფები:**

1. ტელეფონის დადგმა (ტექნიკური საშუალების არსებობის შემთხვევაში) – 30 ლარი(ქვედა ქვიტირში – 60 ლარი),სხვა შემთხვევაში, ფასი ჩასატარებელი სამუშაოების სასმეტო თანხიდან გამომდინარე.

2. არსებული ტელეფონების სერიულად მოწყობა 50 ლარი;

3. ბინის სექტორის აბონენტისათვის სატელეფონო მომსახურების ყოველთვიური **საბონენტო გადასახადი:**

**I პაკეტი – 3 ლარი,**

შიდა ქსელში ადგილობრივ სატელეფონო

საუბრებზე უფასო სალიმიტო დრო –300 წუთი, ლიმიტს ზევით

დამატებითი 1 წუთის ღირებულება დღის სთ 2 თეთრი, ღამის სთ (24:8) 1 თეთრი,

გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით)

ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი - 5 თეთრი,

საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება - 6 თეთრი,

მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი – 28 თეთრი.

**II პაკეტი - 5 ლარი,**

შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო საუბრები უფასო.

გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით)

ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი - 5 თეთრი,

საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება - 6 თეთრი,

მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი – 28 თეთრი.

**III პაკეტი - 6 ლარი,**

შიდა ქსელში ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრები უფასო.

გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით):

ადგილობრივ სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება - 5 თეთრი,

საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება - 6 თეთრი,

მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი – 14 თეთრი.

4. საბიუჯეტო ორგანიზაციების სატელეფონო მომსახურების ყოველთვიური საბონენტო გადასახადი - 2 ლარი, ადგილობრივი სატელეფონო საუბრები:

– შიდა ქსელში („ახალი ქსელები“, „ახტელი“) უფასო სალიმიტო დრო 300 წუთი;

– სალიმიტო დროის გადაჭარბების შემთხვევაში შიდა ქსელში („ახალი ქსელები“, „ახტელი“) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების წუთობრივი გადასახადი დღის საათებში (8:24) 2 თეთრი, ღამის საათებში (24:8) 1 თეთრი;

გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი - 4 თეთრი,

5. არასაბიუჯეტო საწარმოს სატელეფონო მომსახურების ყოველთვიური საბონენტო გადასახადი - 10 ლარი, ადგილობრივი სატელეფონო საუბრები:

– შიდა ქსელში („ახალი ქსელები“, „ახტელი“) უფასო სალიმიტო დრო 300 წუთი;

– სალიმიტო დროის გადაჭარბების შემთხვევაში შიდა ქსელში („ახალი ქსელები“, „ახტელი“) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების წუთობრივი გადასახადი დღის საათებში (8:24) 2 თეთრი, ღამის საათებში ( 24:8) 1 თეთრი;

გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი - 4 თეთრი,

6. საბიუჯეტო ორგანიზაციების და არასაბიუჯეტო საწარმოს სერიულად მოწყობილი ნომრ ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი – 10 ლარი;

7. ყველა კატეგორიის აბონენტებისათვის ხაზის და სატელეფონო ნომრის შენარჩუნების სააბონენტო გადასახადი (ტარიფი) თვეში – 0.50 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

8. ტელეფონის ნომრის შეცვლა ( აბონენტის თხოვნით) 10 ლარი;

9. ტელეფონის გადაფორმება 5 ლარი,

| მომსახურების სახე | ჩართვის გადასახადი (ლარი, თეთრი) | ყოველთვიური გადასახ (ლარი, თეთრი) |
|---|---|---|
| ინფორმაცია ტელეფონზე რიცხული დავალიანების შესახებ | | უფასო |
| შემომავალი ზარების ამონაბეჭდის გაცემა – ერთი თვის | | 1.50 |
| გამავალი ზარების (ადგილობრივი ზარები) ამონაბეჭდის გაცემა<br>- საანგარიშო პერიოდის<br>- გასული პერიოდის (არაუმეტეს 3 წლისა) | | <br>უფასო<br>1.50 |
| კონფერენც-კავშირი | 10 | 2 |
| პირდაპირი ცხელი ხაზი | 3 | 0.50 |
| მაღვიძარა | უფასო | 0.30 |
| გადამისამართება | 3 | 0.50 |
| შემომავალი კავშირის შეზღუდვა | 1 | 0.20 |
| ნომრის შემოკლებული აკრეფვა | 3 | 0.30 |
| აბონენტის გამოძახების შეზღუდვა პაროლით | 0.50 | 0.20 |
| სამმხრივი გამოძახება | 5 | 0.50 |
| დაკავებული ხაზის გადამისამართება | 3 | 0.50 |
| ავტომატური გადარეკვა | 2 | 0.50 |
| გამოძახების ლოდინი | 3 | 0.50 |
| შემომავალი ზარების ამომცნობი | 5 | 1 |

*„ახალი ქსელების" და „ახტელის" ასს-ის ინდექსები (შიდა ქსელი):*

*თბილისი – 213, 2186***-2189***, 2190***- 2191***, 221, 2245***- 2249***, 227, 232, 233, 2455***- 2459***, 252, 253, 254, 257, 258, 259, 265, 269, 270, 275, 276, 277, 279.*

ქუთაისი – 211***-2135*** 2138***-214***, 22, 24, 27, 29

ზესტაფონი – 24****

თერჯოლა 24****

ფოთი – 24****

შპს „ახალი ქსელების"
ქუთაისის განყოფილების მმართველი
ლეილა ფხაკაძე

აბონენტი

დანართი 2

შპს „ახალი ქსელების“ ადგილობრივი სატელეფონო ქსელის დაზიანების შესახებ განაცხადის აღრიცხვისა და დაზიანების აღდგენის ვადები

1. მომხმარებლისაგან ტელეფონის დაზიანების შესახებ განაცხადის მიიღება წარმოებს საინფორმაციო სამსახურის მიერ 24 საათის განმავლობაში ნომერზე 11 00 00.
2. დაზიანების აღმოფხვრა წარმოებს:
   10-დან 17 საათამდე (სამუშაო დღეებში);
   10-დან 15 საათამდე (შაბათ დღეს).
3. 16 საათის შემდეგ შემოსული დაზიანების აღდგენა ხორციელდება მეორე დღეს. შაბათს 14 საათის შემდეგ შემოსული დაზიანებები სწორდება ორშაბათს.
4. განაცხადი შესაძლო იყოს ზეპირი ან წერილობითი.
5. დაზიანების სახეები და დაზიანების აღმოფხვრის საკონტროლო ვადები:

| № | დაზიანების ტიპი | დაზიანების აღდგენის საკონტროლო ვადა (დაზიანების შესახებ განაცხადის შემოსვლიდან) |
|---|---|---|
| 1 | საკომუტაციო დაზიანება (სასადგურო/კროსი) | სამი საათის განმავლობაში |
| 2 | სახაზო-სააბონენტო | სამუშაო დღეებში - იმავე დღეს, თუ განაცხადი შემოვიდა 15 საათამდე<br>-შაბათს , თუ განაცხადი შემოვიდა 14 საათამდე |
| 3 | საკაბელო | კაბელის მოცულობის (50*2 – 1200*2) გათვალისწინებით- 24 საათიდან – 96 საათის განმავლობაში |

შპს „ახალი ქსელების“
ქუთაისის განყოფილების მმართველი
ლეილა ფხაკაძე

აბონენტი

დანართი 1

# შპს "ახალი ქსელების" ინტერნეტ მომსახურების ტარიფები

(ფასები მოცემულია ლარებში, დღგ-ს ჩათვლით)

| ოპტიკა | სიჩქარე | ტარიფი | + WiFi * |
|---|---|---|---|
| მინიმალი | 20მგბ/წმ | 22 ლარი | 32 ლარი |
| სტანდარტი | 28 მგბ/წმ | 32 ლარი | 42 ლარი |
| სტანდარტი + | 40 მგბ/წმ | 39 ლარი | 49 ლარი |
| პრემიუმი | 50 მგბ/წმ | 49 ლარი | 59 ლარი |
| პრემიუმი + | 70 მგბ/წმ | 69 ლარი | 79 ლარი |
| ბიზნესი | 100 მგბ/წმ | 99 ლარი | 109 ლარი |

| ADSL | სიჩქარე | გარანტ. სიჩქარე (გლობალი) | ტარიფი |
|---|---|---|---|
| მინიმალი | 2 მგბ/წმ - 5 მგბ/წმ | 2 მგბ/წმ | 22 ლარი |
| სტანდარტი | 3 მგბ/წმ - 5 მგბ/წმ | 3 მგბ/წმ | 32 ლარი |
| სტანდარტი + | 4 მგბ/წმ- 5 მგბ/წმ | 4 მგბ/წმ | 39 ლარი |
| პრემიუმი | 5 მგბ/წმ - 8 მგბ/წმ | 5 მგბ/წმ | 49 ლარი |
| პრემიუმი + | 6 მგბ/წმ - 8 მგბ/წმ | 6 მგბ/წმ | 69 ლარი |
| ბიზნესი | 7 მგბ/წმ - 8 მგბ/წმ | 7 მგბ/წმ | 99 ლარი |

შენიშვნა: WiFi-ს ჩართვა/გამორთვა 1 ლარი

შპს „ახალი ქსელების“
ქუთაისის განყოფილების მმართველი
ლეილა ფხაკაძე

აბონენტი